ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 10.36/10/063

ქ. თბილისი 17 ივნისი 2022 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი გამგებლის - დავით კირკიტაძის სახით და, მეორეს მხრივ, შპს „კომპანია GEOSM“, საიდენტიფიკაციო კოდი: 404873614, მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N47 (შემდგომში „მიმწოდებელი”), წარმოდგენილი დირექტორის - თეიმურაზ ახობაძის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2.ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული საქმისწარმოებისათვის საკანცელარიო ნივთების და კომპიუტერის მეხსიერების ბარათის (ფლეშმეხსიერება) შესყიდვა.** კონკრეტული ჩამონათვალი მოცემულია ფასების ცხრილში, თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.2 შესყიდვის საშუალება – **გამარტივებული შესყიდვა** („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს მე-13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე).

2.3 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - **2636.37** (ორიათასექვსასოცდათექვსმეტი ლარი 37 თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.4 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და მოქმედებს **2022 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა **2022 წლის 01 აგვისტო.**

3.2 მიწოდების ადგილია: **ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N20.**

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული, არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა ან/და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.
5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი - თამარ შაველაშვილი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.4 პუნქტში მითითებული პირი).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
7.2 ანგარიშსწორება მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, გარდა შემთხვევისა, როდესაც მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის. ამ შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოს შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ.
7.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
8.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.3 შესყიდვის ობიექტის (ნაწილის) მიწოდების ვადის 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რაც გამოიწვევს მიმწოდებლის დაჯარიმებას ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით და ხელშეკრულება ჩაითვლება შეუსრულებლად.
8.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.
8.5 ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება აქვს მოთხოვოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მოხდა შემსყიდველისაგან დამოუკიდებელი მიზეზით.

8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში;
ბ) მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტით გადაცილების შემთხვევაში.
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.6 ამ მუხლის 9.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია.
10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.ღირებულების შეცვლის პირობები

13.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.
13.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
13.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.
15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.
15.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

15.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
15.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მთაწმინდის რაიონის გამგეობა
ს/კოდი: 204521954
მის: ქ,თბილისი,
ძმ. ზუბალაშვილების ქ. N20.
ხაზინის ერთიანი ანგარიში
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22

David Kirkitadze 01009009778
Digitally signed by David Kirkitadze
Date: 2022.06.17 12:31:52

დავით კირკიტაძე

მიმწოდებელი:

შპს „კომპანია GEOSM“
ს/კ 404873614
მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის
გამზ. №47
სს „პროკრედიტ ბანკი“
ა/ა GE45PC 0223 6001 0001 0827
ბ/კოდი MIBGGE22

Company GEOSM LTD
Digitally signed by Company GEOSM LTD
Date: 2022.06.17 12:32:35 +04'00'

თეიმურაზ ახობაძე

№ 10.36/10/063 ხელშეკრულების დანართი

ფასების ცხრილი

№	კოდი	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება
1	2	3	4	5	6	7
	CPVკოდი: 30190000 - სხვადასხვა საოფისე მოწყობილობა და საკანცელარიო ნივთები					
1	B02562	საქაღალდე 30 ფაილით Deli A4	ცალი	5.12	8	40.96
2	G2040	ბაინდერი განიერი Geosm A4 - შავი	ცალი	4.00	202	808.00
3	G2045	ბაინდერი ვიწრო Geosm A4 - ლურჯი	ცალი	4.00	30	120.00
4	LY-9205	საკანცელარიო თარო მეტალის 3 ცალიანი Metal Corner	ცალი	17.59	3	52.77
5	E9186	ვერტიკალური თარო მეტალის Deli	ცალი	12.22	4	48.88
6	6767	დასადგამი (დასაწებებელი) კალამი Helio - ყვითელი	ცალი	1.35	14	18.90
7	Q3BL	კალამი ბურთულიანი Deli 1მმ წვერით - ლურჯი	ცალი	0.20	450	90.00
8	M444	კალკულატორი 12 თანრიგიანი Deli 204x155x35მმ	ცალი	18.92	1	18.92
9	E39291	კორექტორი ფუნჯი Deli 20მლ	ცალი	1.25	24	30.00
10	77759	მაკრატელი 17სმ Deli	ცალი	4.59	13	59.67
11	EU00130	დაფის მარკერი Deli 2მმ წვერით - ლურჯი	ცალი	0.80	10	8.00
12	S600	ტექსტმარკერი Deli - ნარინჯისფერი	ცალი	0.93	5	4.65
13	ES621	ტექსტმარკერი Deli - მწვანე	ცალი	1.00	5	5.00
14	S600	ტექსტმარკერი Deli - მელნისფერი	ცალი	0.93	5	4.65
15	S600	ტექსტმარკერი Deli - ყვითელი	ცალი	0.93	36	33.48
16	EU10020	პერმანენტ მარკერი Deli - შავი	ცალი	0.65	20	13.00
17	W39761	სათლელი მეტალის Deli	ცალი	0.45	2	0.90
18	E2054	საკანცელარიო დანა პატარა Deli	ცალი	0.75	6	4.50
19	E2001	საკანცელარიო დანა დიდი Deli	ცალი	1.23	5	6.15
20	45140	საკანცელარიო წიგნი 40 ფურცელი	ცალი	1.20	1	1.20
21	HO31601	პლასტიკური საქაღალდე ორი რეზინით A4	ცალი	1.85	29	53.65

1	2	3	4	5	6	7
22	E39504	საქაღალდე პლასტიკური ორი რეზინით Deli A4	ცალი	3.00	2	6.00
23	EH00110	საშლელი Deli 42x17x10მმ	ცალი	0.25	17	4.25
24	30201	სკოჩი შესაფუთი გამჭვირვალე Deli 40მ 48მმ	ცალი	2.05	7	14.35
25	30014	სკოჩი პატარა გამჭვირვალე Deli 18.2მ 12მმ	ცალი	0.27	15	4.05
26	E0465	მძლავრი სტეპლერი 60 ფურცლისათვის Deli	ცალი	32.00	1	32.00
27	E0015	სტეპლერის ტყვია 23/10, 60ფურცლის ასაკინძად Deli 500 ცალი	ცალი	0.79	10	7.90
28	E0325	სტეპლერი 24/6 Deli	ცალი	4.50	15	67.50
29	E0012	სტეპლერის ტყვია 24/6 Deli 1000 ცალი	ცალი	0.78	60	46.80
30	E0231	ანტისტეპლერი Deli	ცალი	1.60	5	8.00
31	HOE30	ფაილი ECONOM-სერია 30 მიკრონი 100 ცალიანი Helio A4 100 ცალი	ცალი	5.13	65	333.45
32	C018	ფანქარი HB Deli - ვერცხლისფერი	ცალი	0.18	72	12.96
33	E38561	კლიპი 51მმ Deli	ცალი	0.46	24	11.04
34	E38562	კლიპი 41მმ Deli	ცალი	0.29	252	73.08
35	E38563	კლიპი 32მმ Deli	ცალი	0.17	240	40.80
36	E38564	კლიპი 25მმ Deli	ცალი	0.12	108	12.96
37	E38566	კლიპი 15მმ Deli	ცალი	0.08	24	1.92
38	SN0458	წებოვანი ჩასანიშნი კუბი Merry Stationery 75x75მმ 500 ფურცელი	ცალი	4.45	25	111.25
39	A03A	ჩასანიშნი წებოვანი Merry Stationery 75x75მმ	ცალი	1.89	30	56.70
40	P45-125	წებოვანი გვერდის მოსანიშნი პლასტიკური Merry Stationery 12x45მმ 125 ფურცელი	ცალი	0.90	8	7.20
41	A02502	ჩასანიშნი წებოვანი 76x126	ცალი	2.62	8	20.96
42	EA20110	წებო მშრალი PVP	ცალი	1.25	12	15.00
43	E0031	ჭიკარტი "ლურსმანი"	ცალი	3.00	7	21.00
44	E39052	განცხადების დაფა, ალუმინის ჩარჩოში Deli 60x45სმ	ცალი	24.95	4	99.80
45	E7825	დაფის მაგნიტები Deli ⌀30მმ 6 ცალი	ცალი	2.07	10	20.70
46	G02712	სახაზავი Deli 30სმ	ცალი	0.70	4	2.80
47	E9109	თითის დასასველებელი ბალიში ბურთულიანი Deli	ცალი	3.29	3	9.87
48	9098	ლუპა სანათით 3.5x გადიდებით 158x71x25მმ Deli ⌀60მმ	ცალი	10.45	3	31.35

1	2	3	4	5	6	7
49	LY-9127A	ჩასანიშნი ფურცლის ჩასადები Metal Corner 100x100x65მმ	ცალი	2.95	3	8.85
50	H3835	ასაკინძი ზამბარა; მაქსიმუმ 60 ფურცლის აკინძად Helio ⌀10მმ 100 ცალი	ცალი	12.25	1	12.25
51	E39834	ასლგადამყვანი ქაღალდი - "კაპიროვკა" (ლურჯი) Deli 100 ცალი	ცალი	9.50	1	9.50
	CPVკოდი : 30234000 - ინფორმაციის შესანახი საშუალებები					
52	35750	მეხსიერება UME3-0320K0R11; 32GB UME3 BLACK USB 3.0 GOOD RAM	ცალი	27.20	4	108.80
	სულ ჯამი					**2636.37**

შემსყიდველი:

დავით კირკიტაძე

მიმწოდებელი:

Company GEOSM LTD

Digitally signed by Company GEOSM LTD
Date: 2022.06.17 12:33:04 +04'00'

თეიმურაზ ახობაძე